

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა

და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

ოქმი N 9

ქ.ვანი თავისუფლების N65

24 სექტემბერი 2019 წელი

11 : 00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიგა გოგიბერიძე, დავით ხარძეიშვილი, გია ხარაბაძე, დავით ადეიშვილი, აპოლონ რამიშვილი ,სანდრო ხურციძე,მალხაზ ცერცვაძე, შოთა გიორგაძე, გია ოჩხიკიძე

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: ბიჭიკო პაიკიძე,რობიზონ ფუტკარაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

მოწვეული პირი:

ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - ზვიად კაპანაძე.

ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი - მამუკა ნამიჭეიშვილი

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გიგა გოგიბერიძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე

დღის წესრიგი

1.ვანის მუნიციპალიტეტის დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ისრითში დამისამართებულ N1და N2 ქუჩისთვის გრიგოლ ლორთქიფანიძის სახელის მინიჭების თაობაზე.

მომხს: გიგა გოგიბერიძე

2. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის მე-4 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს: გიგა გოგიბერიძე

3.,,ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N 63-ში, 573 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ 31.01.26.219) განთავსებული შენობა-ნაგებობის, მესამე სართულზე მდებარე 282.7 კვმ ფართის ა(ა)იპ „სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი“-სთვის (ს/კ 229659376) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მომხს: ზვიად კაპანაძე

4. ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქ. ვანში, თამარ მეფის ქუჩა N 2-ში მდებარე 315 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 31.01.30.144) განთავსებული, ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 332.4 კვმ ფართის ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულების გაერთიანებაზე“-ზე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს: ზვიად კაპანაძე

გადაწყვეტის: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ისაუბრა საკრებულოს წევრის შალვა ლორთქიფანიძის ინიციატივაზე ვანის მუნიციპალიტეტის დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ისრითში დამისამართებულ N1 და N2 ქუჩისთვის გრიგოლ ლორთქიფანიძის სახელის მინიჭების თაობაზე.

კომისიის მხრიდან მოწონებული იქნა აღნიშნული ინიციატივა, რაც დაადასტურეს მიზანშეწონილობის შესახებ კომისიის დასკვნაზე ხელის მოწერით.

დანართი:N2

მომხრე - 9
წინააღმდეგი-არცერთი

დაადგინეს:

აღნიშნულის შესახებ ეცნობოს საკრებულოს თავმჯდომარეს შემდგომი რეაგირებისათვის.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ისაუბრა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის მე-4 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

დანართი: N3

მომხრე - 9
წინააღმდეგი -არცერთი

დაადგინეს:

კომისიის მხრიდან მოწონებული იქნა წარმოდგენილი გეგმა და აღნიშნული საკითხი გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დასამტკიცებლად

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ისაუბრა „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N 63-ში, 573 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ 31.01.26.219) განთავსებული შენობა-ნაგებობის, მესამე სართულზე მდებარე 282.7 კვმ ფართის ა(ა)იპ „სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი“-სთვის (ს/კ 229659376) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

დანართი:N4

კომისიის მხრიდან მოწონებული იქნა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 9

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

წარმოდგენილი საკითხი მზადაა ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ისაუბრა ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქ. ვანში, თამარ მეფის ქუჩა N 2-ში მდებარე 315 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 31.01.30.144) განთავსებული, ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 332.4 კვმ ფართის ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულების გაერთიანებაზე“-ზე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

დანართი N5

კომისიის მხრიდან მოწონებული იქნა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 9

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

კომისიამ მოიწონა და მხარი დაუჭირა წარმოდგენილ საკითხს და საკითხი მზადაა ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გიგა გოგიბერიძე

ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე